საქართველოს მთავრობის

დადგენილება №590

2018 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის 3^2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან“.

მუხლი 2

ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან და ექვემდებარება აღიარებას, სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელების გარეშე მიჩნეულ იქნეს პირობითად აღიარებულად 2019 წლის პირველ აპრილამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან (შემდგომში – წესი), ადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის აღიარების ზოგად პრინციპებს, პროცედურებს, მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. სავალდებულოა იმ ბიზნესოპერატორის აღიარება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსებასთან.

3. ბიზნესოპერატორის აღიარებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

მუხლი 2. აღიარების ზოგადი პრინციპები

1. აკრძალულია აღიარების ან პირობითი აღიარების გარეშე იმ ბიზნესოპერატორების საქმიანობა, რომლებიც აღიარებას ექვემდებარებიან.

2. ბიზნესოპერატორის აღიარება ან პირობითი აღიარება ხორციელდება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირების) შედეგების მიხედვით.

მუხლი 3. აღიარების პროცედურები

1. ბიზნესოპერატორი აღიარებისათვის განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი, ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი), ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი).

3. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება).

4. ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღიარებაზე ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

5. სააგენტო ბიზნესოპერატორს აღიარებას ანიჭებს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

6. თუ ინსპექტირების შედეგებით დადგენილი იქნება, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ამასთანავე, არ არსებობს ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი, სააგენტო ბიზნესოპერატორს 3 თვის ვადით ანიჭებს პირობით აღიარებას და აძლევს მითითებებს შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

7. პირობით აღიარების მინიჭებიდან სამი თვის შემდეგ სააგენტო ახორციელებს განმეორებით ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:

ა) ბიზნესოპერატორს უგრძელდება პირობითი აღიარება იმავე ვადით, თუ მის მიერ არ არის შესრულებული სააგენტოს მითითებები და მისი საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება უვადოდ, იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

8. პირობითი აღიარების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განმეორებითი ინსპექტირების საფუძველზე, ბიზნესოპერატორი წყვეტს საქმიანობას ან ენიჭება აღიარება.

9. თუ ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული ვადების განმავლობაში ბიზნესოპერატორთან განხორციელდა ინსპექტირება და ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადაში.

10. სააგენტო უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღიარებაზე, თუ:

ა) სარეალიზაციო ობიექტი არ წარმოადგენს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სპეციალიზებულ სარეალიზაციო ობიექტს;

ბ) სარეალიზაციო ობიექტი, რომელშიც შესაძლებელია, განთავსდეს 100 ტონაზე მეტი სარეალიზაციო მასალა (მსხვილი საწყობი), არ მდებარეობს დასახლებული ადგილებიდან, კვების ობიექტებიდან, საკვების წარმოებისა და გადამუშავების ნაგებობებიდან, წყალმომარაგების ობიექტებიდან, სამკურნალო და სასწავლო დაწესებულებებიდან, პირუტყვისა და ფრინველთა სადგომებიდან არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სარეალიზაციო ობიექტში ხორციელდება მხოლოდ აგროქიმიკატის რეალიზაცია.

11. სააგენტო აღიარებულ ბიზნესოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნესოპერატორს ანიჭებს აღიარების ან პირობით აღიარების ნომერს, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) საქონლის შესაბამისი ჯგუფის ნომერს.

12. სააგენტო აწარმოებს აღიარებული ბიზნესოპერატორების რეესტრს და უზრუნველყოფს მის

განახლებას.

13. ინფორმაცია აღიარებული ბიზნესოპერატორის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, სააგენტოს მიერ მინიჭებული აღიარების ნომრის შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 აგვისტოს დადგენილება №412 – ვებგვერდი, 30.08.2019წ.

მუხლი 4. აღიარების გაუქმება

სააგენტო აუქმებს აღიარებას:

ა) ბიზნესოპერატორის მიმართვის საფუძველზე;

ბ) თუ ინსპექტირების დროს გამოვლინდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები;

გ) თუ ინსპექტირების დროს გამოვლინდა, რომ მისი საქმიანობა ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 5. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები

1. ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს სააგენტოსთან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) შეწყვიტოს საქმიანობა, თუ სააგენტო:

ბ.ა) გაუუქმებს აღიარებას;

ბ.ბ) პირობითი აღიარების შემდეგ არ მიანიჭებს აღიარებას.

2. ბიზნესოპერატორმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საწარმოო პროცესში ცვლილებების ან/და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 6. გასაჩივრების წესი

ბიზნესოპერატორის აღიარების, პირობითი აღიარების თაობაზე, აღიარების აღდგენის თაობაზე უარის თქმის ან აღიარების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.